სახელმწიფოშესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N 24

ქ. თელავი **25 მარტი, 2019 წელი.**

ერთის მხრივ, სსიპ **იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი**(შემდგომში ''შემსყიდველი''), წარმოდგენილი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მზია მაისურაძის სახით და მეორეს მხრივ, შპს **თეგეტა მოტორსი** (შემდგომში ''მიმწოდებელი''), **წარმოდგენილი გაყიდვების დეპარტამენტის უფროსის თეიმურაზ დარსიპანაშვილის** სახით, ვდებთ გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1.ხელშეკრულების საგანი

1.1 წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს, გამარტივებული შესყიდვის განხორციელება ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების საფუძველზე, სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო **უნივერსიტეტის ბალანსზე რიცხული ავტომანქანისთვის (მერსედეს ბენცი ML სახელმწიფო ნომერი ISI 855) ავტოტექნიკური მომსახურეობა და ავტოსათადარიგო ნაწილების შეძენა სამსახურებრივი ბარათის N 300118(13.03.19)-ის საფუძველზე.**

1.2 შესყიდვის საშუალება-გამარტივებული შესყიდვა.
1.3 შესყიდვის საფუძველი - მონეტარული ზღვრების დაცვით.
1.4 დაფინანსებისწყარო -2019 წლის საკუთარიშემოსავლები.

CPV კოდი: 50112000 - მანქანების შეკეთება და ტექნიკური მომსახურება.

2.ხელშეკრულების ღირებულება

2.1ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **260(ორას სამოცი) ლარს.**

3.მიწოდების ვადები და ადგილი

3.1 მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს შემსყიდველს შესაბამისი საქონელი/მომსახურება.
3.2 მიწოდების მისამართი: **ქ.თელავი, სოფ. ვარდისუბანი.**
3.3 საქონლის/მომსახურების მიწოდება მოხდება ხელშეკრულების გაფორმებიდან **ერთი კვირის** ვადაში.
3.4 საქონელს/მომსახურებას თან უნდა ახლდეს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა ან/და სასაქონლო ზედნადები.

4. საქონლის/მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

4.1 შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი(ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, რომელიც უნდა დადასტურდეს მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

5. ანგარიშწორება

5.1 ანგარიშწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში.
5.2 გადახდის ფორმა - უნაღდო ანგარიშსწორება.
5.3 ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება საქონლის/მომსახურების მიწოდებიდან **10(ათი)** სამუშაო დღის ვადაში.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობები

6.1 შემსყიდველს უფლება აქვს:
ა) შეამოწმოს საქონლის/მომსახურების შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;
ბ) განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე;
გ) არ აუნაზღაუროს მიმწოდებელსსაქონლის/მომსახურების ღირებულება, თუ მისი ხარისხი არ აკმაყოფილებს დადგენილ სტანდარტებს;
6.2 შემსყიდველი ვალდებულია:
ა) გადაუხადოს მიმწოდებელს შეთანხმებული ფასი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;
ბ) მიიღოს საქონელი/მომსახურება;
გ) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;
6.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:
ა) მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით შეთანხმებული ფასი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;
6.4 მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი/მომსახურება დადგენილ ვადებში;
ბ) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

7.ხარისხი და გარანტია

7.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ საქონელი/მომსახურება იქნება სტანდარტებთან შესაბამისი ხარისხის;
7.2 მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს უხარისხო საქონლის/მომსახურების შეცვლა ან მისი ნაწილის შეცვლაშემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე.
7.3 მიმწოდებლის მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები წარმოქმნილი დეფექტების გამოსწორებისათვის და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების დადების მომენტისათვის შესაბამისად განსაზღვრული პირი;
8.2 ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, ასევე მიწოდებული საქონლის/მომსახურების ხარისხის კონტროლს;
8.3 ყველა გამოვლენილი ხარვეზის, ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
9.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების 0,1 %-ის ოდენობით;
9.3 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას, შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება;
9.4 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი მოვალეობების შესრულებისაგა

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით.
10.2 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის.

10.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.
10.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;
10.5 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. ფორს-მაჟორი

11.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით (ფორს-მაჟორი);
11.2 ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის/მომსახურების მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.11.4 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა უნდა გადაიჭრას ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერისთანავე, ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს **2019 წლის 15 მაისამდე.**

14. სხვა პირობები

14.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე;
14.2 მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით;
14.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან.

15. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:
სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
მის: ქ. თელავი, ქართული
უნივერსიტეტის N 1
ს. კ. 231187168
მომსახურე ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი: TRESGE22
ანგN/ სახაზინო კოდი : 32 04 06 11
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

მზია მაისურაძე

მიმწოდებელი:
შპს თეგეტა მოტორსი
მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი,
მე–12 კმ N 5
ს.კ. 202177205
ბანკი: სს თიბისი ბანკი
ბანკის კოდი: TBCBGE22
ა/ნGE80 TB 0600 0000 2446 7853
გაყიდვების დეპარტამენტის უფროსი

თეიმურაზ დარსიპანაშვილი

Tegeta Motors LLC
2019.03.25
12:39:25 +04'00'